

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი   ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონის პროექტზე  
“სამეწარმეო სამქმიანობის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების  
შეტანის შესახებ

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზანი: “სამეწარმეო სამქმიანობის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანა განპირობებულია საგადასახადო შემოწმების პროცედურების უფრო მოქნილი მექანიზმის შემუშავების აუცილებლობამ, რაც, თავის მხრივ, განაპირობა რეალურად შექმნილმა ვითარებამ.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი: კანონპროექტის მიზანია საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო შემოწმების განხორციელების პროცესში სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნა და მისი ეფექტურობის გაზრდა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი: “სამეწარმეო სამქმიანობის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის დღეს მოქმედი რედაქციის თანახმად, მოსამართლის სათანადო ბრძანებას არ საჭიროებს საგადასახადო ორგანოების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებული ა) გეგმური შემოწმებები და ბ) საკონტროლო შემოწმებები, რომელთა მიზანია გადასახადის ზედმატად გადახდილი თანხის წარმოშობის სისწორის განსაზღვრა. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, საგადასახადო ორგანოებს უფლება ეძლევათ მოსამართლის სათანადო ბრძანების გარეშე განახორციელონ აგრეთვე საგადასახადო შემოწმება იმ შემთხვევისათვის, როდესაც საგადასახადო დავის განხილვის პროცესში საგადასახადო ადმინისტრაცია დავის გადაუწყვეტლად დაავალება მას სადავო საკითხის განმეორებით განხილვას და შესწავლას.

### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

### ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტს მიღება ფისკალურად ნეიტრალურია, იგი გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

### ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

### ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ფინანსურ შედეგებზე.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრა.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**და) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

მათ არ მიუღიათ მონაწილეობა კანონპროექტის შემუშავებაში.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტი არ ყოფილა წარდგენილი ექსპერტებისათვის.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**

საქართველოს მთავრობა